ISSN 1512-1801

УДК 378.14

უმაღლესი განათლების ორგანიზაციის მოდელები

გოროშიძე გიორგი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ანოტაცია

მოთხოვნადი კადრების მომზადებისთვის უმაღლესი განათლების პროგრამებში აუცილებლად უნდა იკვეთებოდეს როგორც პროფესია, ისე სპეციალობა, რაც დამსაქმებელს გაუადვილებს მათთვის ადეკვატური პოზიციის შერჩევას. ასეთი პროფილირებული სწავლებისთვის კი აუცილებელია ბაკალავრიატის მე-3 და მე-4 კურსებზე სპეციალობის მოდულების არსებობა. პირველი 2 წელი უნდა ეთმობოდეს ***პროფესიის*** *ბაზისის ათვისებას (საბაზისო საფეხური), შემდეგი 2 წელი უნდა ეთმობოდეს პროფესიის ფარგლებში* ***სპეციალობების*** *ათვისებას (სპეციალობის საფეხური), ხოლო შემდეგი 2 წელი, უკვე მაგისტრატურის საფეხურზე, უნდა ეთმობოდეს* ***სპეციალიზაციების*** *ათვისებას (სპეციალიზაციის საფეხური). ყოველივე ამის ჩამოყალიბება და შემდგომი განხორციელება შეიძლება ხდებოდეს უმაღლესი განათლების სხვადასხვა ორგანიზაციული მოდელების ფარგლებში, რომელთა შორის აღსანიშნავია 3 ძირითადი სახეობა:* ***„კლასიკური მოდელი“ (2+2)+2,*** *რომელიც ემსახურება მეცნიერების რომელიმე დარგის მაქსიმალურ ათვისებას;* ***„პირამიდული მოდელი“ (2+2)+1,*** *რომელიც ემსახურება მიღებული ცოდნის უფრო მეტ სისტემატიზებას, გაღრმავებას და მეცნიერული კვლევების სტიმულირებას;* ***„შერეული მოდელი“ 3+2,*** *რომელიც ხასიათდება ნაკლები შეზღუდვებით, შედარებით დაბალი დონის კვალიფიკაციით და იძლევა მომიჯნავე დარგის ათვისების შესაძლებლობებს. საუკეთესო შედეგების მიღებისთვის კადრების მომზადებაში ეს სამივე მოდელი ერთდროულად უნდა ფუნქციონირებდეს, რაც სტუდენტებს უქმნის პროფესიის, სპეციალობის და სპეციალიზაციის არჩევის კომფორტულ პირობებს.*

საკვანძო სიტყვები: *უმაღლესი განათლება, ორგანიზაცია, მოდელი, ეფექტიანობა*

თანამედროვე უმაღლესი განათლების სისტემა უნდა პასუხობდეს თანამედროვე დროის გამოწვევებს და შესაბამისობაში უნდა იყოს შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. კვალიფიციური კადრების მომზადების პროგრამებში ორსაფეხურიანი უმაღლესი განათლების პირველივე საფეხურიდან (ბაკალავრიატიდან) საჭირო ხდება აქტუალური პროფილების გამოკვეთა. დღესდღეობით საბაკალავრო სწავლებაში ასეთი პროფილირება მიღწეული არ არის, სავარაუდოდ, უმაღლესი განათლების ორგანიზების სფეროში ძირითადი საკითხების შეუთანხმებლობის გამო.

ამჟამად კურსდამთავრებული „სპეციალისტების“ მხოლოდ მცირე ნაწილი თუ ახერხებს იმუშაოს თავისი კვალიფიკაციის შესაბამისად სხვადასხვა ორგანიზაციებში. ერთის მხრივ, ეს ხდება დიდი კონკურენციის გამო და, მეორეს მხრივ, გავრცელებული არაპროფილირებული უმაღლესი განათლების არასრულფასოვნების გამო. აღნიშნული

ISSN 1512-1801

საკითხი პირველ რიგში ეხება კურსდამთავრებულ ბაკალავრებს, რომელთა უმრავლესობა იძულებულია იმუშაოს სასურველზე უფრო დაბალი კვალიფიკაციით, სხვა შემთხვევაში კი რჩება უმუშევარი. ამდენად, დრო და ფინანსები, რომლებიც მოხმარდა უმაღლესი განათლების მიღებას, ბევრისთვის უმიზნოდ და უშედეგოდ გამოდის გახარჯული [1]. მდიდარი ქვეყნებისთვის შეიძლება რესურსების ასეთი ფლანგვა არ წარმოადგენდეს დიდ პრობლემას, მაგრამ ჩვენნაირი ურესურსო ქვეყნისთვის კი, რომელიც დაკავებულია თვითდამკვიდრების ამოცანების გადაწყვეტით, დიდი პრობლემების შემცველია. ასეთ ვითარებაში ყველაზე ადეკვატურ მიდგომას წარმოადგენს ყველა საშუალებით არსებული რესურსების შენარჩუნება და მაქსიმალური ეფექტიანობით მათი გამოყენება. სრულიად გაუმართლებელია მდიდარი ქვეყნების გამოცდილებათა პირდაპირი გადმოღება და მხოლოდ საბაზრო მექანიზმების მუშაობაზე მთელი იმედების დამყარება.

ცნობილია, რომ საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემა ვითარდება ევროპის საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირების მიმართულებით. ეს პროცესი ითხოვს ჩვენ მიერ ევროპის ქვეყნების უმაღლესი განათლების სისტემებში არსებული მიდგომების რეალისტურ გააზრებას, პირველ რიგში, ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის სპეციფიკის გათვალისწინებით. ევროპის საგანმანათლებლო სივრცეში დამკვიდრებულია ორსაფეხურიანი უმაღლესი განათლების სისტემა, რომელიც მრავალი მოდიფიკაციების სახით არსებობს. მაგრამ მიუხედავად ამისა, აღიარებულია და გავრცელებულია ძირითადად ორი მოდელი: **4+1** და **3+2** (ბაკალავრიატში და მაგისტრატურაში სწავლის ხანგრძლივობების ანუ წლების მიხედვით) [2]. საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემა ცოტაოდენ განსხვავებულია. მასში დიდი ხანია დამკვიდრებულია მოდელი **4+2,** რომელიც ჩამოყალიბდა ორი ათეულის წლის წინ ევროპული საგანმანათლებლო სისტემის შესწავლის საფუძველზე და კლასიკურ მოდელად არის მიჩნეული. უნდა ითქვას, რომ იგი არის საუკეთესო მოდელი იმ შემთხვევაში, თუკი საბაკალავრო საფეხური უმაღლესი განათლებისთვის სრულფასოვან საფეხურად იქნება მიჩნეული. გავრცელებული მიდგომების მიხედვით აშკარაა, რომ საკითხი სხვაგვარად დგას. თანამედროვე პირობებში ბაკალავრიატის 4 წელი არასრულყოფილ განათლებად ითვლება და სრულყოფისთვის ითხოვს სწავლის გაგრძელებას მაგისტრატურაში. ხოლო სრულყოფილი უმაღლესი განათლების მიღებით დაინტერესებულ პირთათვის ბაკალავრიატის შემდეგ კიდევ 2 წლიანი მაგისტრატურის გავლის საჭიროება მათ ერთგვარად „გაჭიანურებული“ სწავლის შთაბეჭდილებას უქმნის. ,დიდი ალბათობით შეიძლება ეს გახდა იმის საფუძველი, რომ გაძლიერებულიყო უმაღლესი განათლების ორივე საფეხურის 5 წლიან ჩარჩოში მოქცევის ტენდენციები და ეს 5 წლიანი სწავლება გადაქცეულიყო თანამედროვე უმაღლესი განათლების სტანდარტად. სავარაუდოდ ამას შეიძლება უკავშირდებოდეს დღევანდელ ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში **4+1** და **3+2** მოდელების მეტი ადეკვატურობის და რაციონალურობის შესახებ განწყობების მომრავლება და გაძლიერება [3], [4], [5]. უმაღლესი განათლების ორივე საფეხურის მოქცევა 5 წლიან ჩარჩოში შეიძლება აგრეთვე ნაკარნახები იყოს 5 წელიწადში ცენზიანი და ხარისხიანი უმაღლესი განათლების მოსწრების სურვილით, რომელიც 1 წლის „დაზოგვის“ შედეგად, უპირველეს ყოვლისა, ფინანსური დანახარჯების შემცირებას გულისხმოს. უმაღლეს განათლებაზე ამით განპირობებული გაზრდილი მოთხოვნა შესაბამისად იწვევს უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების შემოსავლების ზრდას. როგორც უმაღლესი განათლების ცენზისა და ხარისხის ამაღლების, ისე შემოსავლების

ISSN 1512-1801

ზრდის ერთდროული შესაძლებლობები ქმნიან დიდ დაინტერესებას და ამ მიმართულებით სამუშაოთა ინტენსიური განვითარების სტიმულებს.

უმაღლეს განათლებაში სწავლების პირველი საფეხური (ბაკალავრიატი) არის განათლების საბაზისო დონე, რომელიც პრაქტიკაზეა ორიენტირებული. ოთხწლიანი სწავლის შემდეგ მიღებული ბაკალავრის ხარისხი კურსდამთავრებულს უნდა აძლევდეს დასაქმების და წარმატებული კარიერული ზრდის ღირსეულ პერსპექტივებს. თუ ბაკალავრს არ აქვს მომავალში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის წარმოების განზრახვები, მაშინ ეს ხარისხი სრულიად საკმარისი უნდა იყოს მისი პროფესიული საქმიანობის მაღალეფექტიანად წარმართვისთვის. სწავლების მეორე საფეხური (მაგისტრატურა) ემსახურება არჩეულ დარგში თეორიული ცოდნის სიღრმისეულ ათვისებას და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის განხორციელებას. 4 წლიანი ბაკალავრიატის საფეხურის საკმარისობის და პრაქტიკაზე მისი ორიენტირებულობის მიუხედავად, ჩვენს სინამდვილეში (ნაწილობრივ ევროპულ სინამდვილეშიც) აღინიშნება ბაკალავრიატის საფეხურის მნიშვნელობის დაკნინება და არასრულფასოვან უმაღლეს განათლებად მისი გამოცხადება. ეს იმის შედეგია, რომ უმაღლესი განათლების ბრიტანულ სისტემაში ბაკალავრიატი ითვლება დამთავრებამდელი (undergraduate) ანუ არასრულყოფილი უმაღლესი განათლების საფეხურად. სრულყოფილი უმაღლესი განათლების მიღწევა კი შესაძლებელი ხდება ბაკალავრიატის დამთავრების შემდეგ სამაგისტრო განათლების მიღებით (graduate) [6]. ამასთან დაკავშირებით ისიც უნდა ითქვას, რომ მაგისტრატურაში მიღებული დამატებითი თეორიული ცოდნა ბევრს ვერაფერს სძენს სამსახურში პრაქტიკულ საქმიანობას. ამისგან განსხვავებით, ამერიკის შეერთბული შტატების და ევროპის რიგი ქვეყნების უმაღლესი განათლების სისტემებში საბაკალავრო სწავლება ითვლება სრულფასოვანი უმაღლესი განათლების მიმნიჭებელ საფეხურად.

სრულყოფილი უმაღლესი განათლების პოზიციებიდან გამომდინარე, ბაკალავრიატის საფეხურის არასაკმარისობის კონსტანტირება ყველაზე მეტად ადეკვატურია სწავლების **3+2** მოდელისთვის, ხოლო სწავლების **4+1** მოდელის შემთხვევაში კი ბაკალავრიატის საფეხურს მეტი დარწმუნებულობით შეიძლება მიენიჭოს სრულყოფილი უმაღლესი განათლების სტატუსი, როგორც ეს არის მიღებული ზოგიერთი ევროპული ქვეყნის და განსაკუთრებით კი ამერიკის შეერთებული შტატების საგანმანათლებლო სისტემებში [7], [8]. ჩვენს სინამდვილეში ვითარებას ართულებს ის გარემოება, რომ მაგისტრატურისთვის დაწესებული სტუდენტთა მისაღები კონტინგენტის კვოტების არსებობის გამო კურსდამთავრებული ბაკალავრების მხოლოდ 30%-ს გააჩნია მასში სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა, ხოლო მათი დანარჩენი 70% კი არის „პროფესიული არასრულფასოვნების კომპლექსით“ დათრგუნული პროფესიული კადრების კატეგორია. გავრცელებული შეხედულება იმის შესახებ, რომ მაგისტრატურა წარმოადგენს სპეციალობის მოპოვების ერთადერთ საფეხურს, სპეციალობის არმქონე ბაკალავრების 70%-ს აქცევს არამოთხოვნად კადრებად იმ სფეროებისთვის, რომლებშიც შეიძლებოდა რომ ისინი წარმატებულად დასაქმებულიყვნენ. ამის გამო ბაკალავრების დიდი ნაწილი მუშაობას იწყებს სულ სხვა სფეროებში, რომლებშიც მათი სპეციფიკური განათლება შეიძლება მივიწყებასაც კი მიეცეს.

უმაღლესი განათლების საბაკალავრო პროგრამები, ხშირად ითხოვენ გაუმჯობესებას იმ მიზნით, რომ მათ ფარგლებში მომზადებული კადრები უფრო მოთხოვნადები გახდნენ შრომის ბაზარზე. ასეთ კადრებზე მოთხოვნის ასამაღლებლად,

ISSN 1512-1801

პირველ რიგში, მათ უნდა გააჩნდეთ როგორც პროფესია, ისე სპეციალობა, რაც დამსაქმებელს ხელს შეუწყობს მათთვის ადეკვატური პოზიციის შერჩევაში. უპროფილო, ზოგადი მომზადების მქონე ბაკალავრები ვერ აკმაყოფილებენ სამსახურის პრაქტიკული საქმიანობის მოთხოვნებს და ხშირად ეთქმით უარი სამსახურში მიღებაზე. ამდენად, სრულყოფილი უმაღლესი განათლების მისაღწევად სრულიად აუცილებელი ხდება, რომ საბაკალავრო სწავლება იყოს პროფილირებული. მაგრამ ეს არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ სტუდენტები მოექცნენ ამ მოდელით სწავლის იძულების ქვეშ. სტუდენტებისთვის პროფესიის დასაუფლებლად კომფორტული პირობების შექმნის მიზნით, განათლების პროფილირებაც უნდა დაექვემდებაროს არჩევის პროცედურებს. მაგრამ აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ განათლების პროფილირებაზე უარის თქმის შემთხვევაში საქმე გვექნება მხოლოდ პროფესიის მიღებასთან სპეციალობის გარეშე, რაც არ არის სრულფასოვანი კვალიფიკაცია. სტუდენტის მიერ ხშირად უსისტემოდ არჩეული საგნების შემადგენლობა ვერ ღებულობს აღიარებას როგორც სპეციალობა, დამსაქმებლისთვის კი იძენს მეტ განუსაზღვრელობას მათი პროფილის ამოცნობის საკითხში, რაც ამცირებს ასეთი კადრების შრომითი მოწყობის შესაძლებლობებს. დასაქმებული ბაკალავრების გარკვეული ნაწილისთვის ამ მოდელით სწავლა შეიძლება სრულიად დამაკმაყოფილებელიც კი იყოს [9].

დამსაქმებლები არ იცნობენ მეცნიერების დარგებს (რომლებშიც ხდება კადრების მომზადება) ისე კარგად, რომ ვაკანსიის გამოცხადებისას პრეტენდენტები მიიღონ მათთვის შესაფერის სამუშაო ადგილებზე. ამ ამოცანის სწორად გადაწყვეტაში მათ ეხმარება კურსდამთავრებულის დიპლომში და დიპლომის დანართში საკვალიფიკაციო ჩანაწერები, რომლებშიც ნაჩვენები უნდა იყოს როგორც პროფესია, ისე სპეციალობა. **პროფესია** არის მეცნიერების რომელიმე ერთი დარგის შესახებ ზოგადი ცოდნის გამომხატველი, ხოლო **სპეციალობა** არის პროფესიაში შესული ქვედარგის შესახებ კონკრეტული ცოდნის გამომხატველი.

ბაკალავრიატის საფეხურზე პროფილირება რომ განხორციელდეს, ამისთვის მე-3 და მე-4 კურსებზე უნდა არსებობდეს სპეციალობების მოდულები პროფესორების მიერ მაპროფილებელი საგნების შერჩეული შემადგენლობისთვის სავალდებულო კრედიტების საკმარისი რაოდენობის დაწესებით. ბაკალავრიატში მსგავსი მოდულური სისტემის დამკვიდრებით შესაძლებელი ხდება სხვადასხვაგვარი შინაარსისა და სტრუქტურის მქონე „მეოჯორების“ და „მაინორების“ კომბინირების საფუძველზე პროფესიების ისეთი ნაირსახეობების შექმნა, რომლებსაც ექნებათ მეტი მოთხოვნა შრომის ბაზარზე. ამდენად, სწავლების ასეთი პროფილირების მიღწევა შესაძლებელი გახდება მაშინ, თუკი ბაკალავრიატში სწავლების პირველი 2 წელი დაეთმობა პროფესიის საფუძვლების ათვისებას, ხოლო შემდეგი 2 წელი დაეთმობა პროფესიის ფარგლებში სპეციალობების ათვისებას. ასეთია <u>**პროფილირებული ბაკალავრიატის 2+2 მოდელი.**</u>

ბაკალავრიატი უპირველეს ყოვლისა არის პროფესიის მიმნიჭებელი საფეხური. პროფესია წარმოადგენს ადამიანის შრომითი საქმიანობის გამომხატველ უმთავრეს, გვაროვნულ კატეგორიას. ადამიანის ადგილი საზოგადოებაში უპირველეს ყოვლისა მისი პროფესიით განისაზღვრება. უზოგადესი დაყოფით, პროფესიები შეიძლება იყოს მარტივი და რთული. მარტივი პროფესიების რაოდენობა ათეულობით ათასს აღწევს, ხოლო რთული პროფესიების რაოდენობა შემოიფარგლება რამდენიმე ათეულით. პროფესიის სირთულე დიდწილად მასში შემავალი სპეციალობების რაოდენობით განისაზღვრება. რთული პროფესიების კატეგორიას განეკუთვნება, მაგალითად, ის

ISSN 1512-1801

პროფესიები, რომლებსაც სტუდენტები ეუფლებიან უნივერსიტეტებში (ე.ი. „აკადემიური პროფესიები“). ასეთი პროფესიებია: მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, ფსიქოლოგია, სოციოლოგია, ეკონომიკა და სხვ. შეუძლებელია, რომ სტუდენტი ფლობდეს რომელიმე აკადემიურ პროფესიას ისე სრულყოფილად, რომ მასში არ იყოს საჭირო სპეციალობის გამოკვეთა, რომელიც ხელს უწყობს პროფესიის უფრო სრულფასოვან ათვისებას. ამიტომ საჭიროა სწავლების ისეთი ორგანიზება, რომ ორივე ერთდროულად მიიღწეოდეს და სათანადოდ აისახებოდეს დიპლომის დანართში, რომელიც ადვილად ექვემდებარება სტუდენტის ინდივიდუალურ გეგმებზე მორგებას. ხოლო დიპლომში კვალიფიკაციის ფორმულირება უნდა ხდებოდეს საყოველთაოდ შეთანხმებული წესების დაცვით [9].

ბაკალავრიატის საფეხურზე უნდა ხორციელდებოდეს პროფესიის მსხვილი დაყოფა, ანუ მე-3 და მე-4 კურსებზე უნდა გამოიყოფოდეს პროფესიაში შემავალი სპეციალობები, რომლებიც უფრო ეფექტიანს გახდის კურსდამთავრებული ბაკალავრების პრაქტიკულ პროფესიულ საქმიანობას. გარდა ამისა, ისინი ხელს შეუწყობენ მაგისტრატურის საფეხურზე სპეციალიზაციის ადეკვატური სამუშაოების სტიმულირებას, რასაც უნდა ემსახურებოდეს მაგისტრატურა. ამიტომ გამართლებულად უნდა ჩაითვალოს ის, რომ კადრების მომზადებაში პირველი 2 წელი ეთმობოდეს პროფესიის **ბაზისის** ათვისებას (საბაზისო საფეხური), შემდეგი 2 წელი ეთმობოდეს პროფესიის ფარგლებში **სპეციალობების** ათვისებას (სპეციალობის საფეხური), ხოლო შემდეგი 2 წელი, უკვე მაგისტრატურის საფეხურზე, ეთმობოდეს **სპეციალიზაციების** ათვისებას (სპეციალიზაციის საფეხური). ამ ლოგიკით ვღებოლობთ მოდელს **(2+2)+2,** რომლის შემადგენელი ელემენტები ქმნიან ერთიან სისტემას და რომელიც უმაღლესი განათლებისთვის ყველაზე ადეკვატურ მოდელად შეიძლება ჩაითვალოს. მაგრამ მისი ხანგრძლივობა (6 წელი) ბოლო ხანებში სულ უფრო ნაკლებ მხარდაჭერას პოულობს.

უმაღლესი განათლება ურთულესი სფეროა და აღსავსეა ურთიერთგამომრიცხავი მოვლენებით და პროცესებით. ამიტომ მწყობრი ლოგიკური მსჯელობის აგება მისი პრობლემატიკის შესახებ ურთულეს და ხშირად დაუძლეველ ამოცანას წარმოადგენს. უმაღლესი განათლების უცხოურ მოდელებში არის სერიოზული წინააღმდეგობები, რომლებიც აღინიშნება პროფესიისა და სპეციალობის გააზრებაში. კერძოდ, ერთის მხრივ, პროფესიად ითვლება ის სფერო, რომელშიც კურსდამთავრებულს ენიჭება ბაკალავრის ხარისხი, რაც ტრადიციულად მისი მრავალდარგიანობის გამო, ზოგადად, საეჭვოდ ხდის ასეთი პროფესიის ადეკვატურობას და მართებულობას. პროფესია შეიძლება მეცნიერების მხოლოდ ერთ დარგზე იყოს აღმოცენებული, ვინაიდან მრავალდარგობრივი პროფესიის დაუფლება შეუძლებელია ადამიანის შესაძლებლობათა შეზღუდულობის გამო. მეორეს მხრივ, ხშირად სპეციალობად წარმოადგენენ იმას, რაც ერთ დარგზე აღმოცენებულ პროფესიას გულისხმობს; ანუ ადგილი აქვს პროფესიის და სპეციალობის იდენტურ კვალიფიცაციებად გამოცხადებას, რაც აკნინებს პროფესიის მნიშვნელობას, ხოლო აზვიადებს სპეციალობის მნიშვნელობას. კვალიფიკაციების ყველაზე უფრო ადეკვატური და მიზანშეწონილი განლაგება ასეთია: **პროფესია > სპეციალობა > სპეციალიზაცია.**

ბაკალავრიატთან მიმართებაში მაგისტრატურა ზოგადად ორგვარად შეიძლება იყოს ორგანიზებული: 1) ბაკალავრიატში გამოკვეთილი სპეციალობის ხაზის შენარჩუნებით სპეციალიზაციის დონეზე, ან 2) მომიჯნავე სფეროში გადანაცვლებით. მაგალითად, გერმანული უმაღლესი განათლების სისტემაში პირველი ტიპის

ISSN 1512-1801

მაგისტრატურას ეწოდება „თანმიმდევრული“ (konsekutiv). ამ დონეზე ადგილი აქვს თემატური ველის შენარჩუნებას, და პრობლემატიკის შემდგომ გაღრმავებას. ამის მიღწევა შესაძლებელი ხდება კვალიფიკაციების ლოგიკურად გამართული განლაგების პირობებში: პროფესია > სპეციალობა > სპეციალიზაცია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს არის ისეთი მოდელი, რომლის ფარგლებშიც უფრო მეტად ხდება შესაძლებელი სწავლის მაღალი ხარისხის მიღწევა. მასში აგრეთვე არსებობს სამაგისტრო სწავლის ხანგრძლივობის 1 წლამდე შემცირების შესაძლებლობები; აღწერილი მიდგომის განვითარებად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ თანმიმდევრული და მაღალხარისხიანი სწავლის ვითარებაში დასაშვები გახდეს დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელება მაგისტრატურის საფეხურის გავლის გარეშე.

მეორე შემთხვევაში საქმე გვაქვს მაგისტრატურასთან, რომელიც წარმოადგენს გასვლას ბაკალავრიატის სპეციალობის თემატური ველიდან და ღებულობს ერთგვარი დამატებითი სპეციალობის მიმნიჭებლის ფუნქციას. მას ეწოდება „არათანმიმდევრული“ (nicht konsekutiv). ეს ისეთი მოდელია, რომლის ფარგლებშიც სწავლის სასურველი ხარისხის მიღწევა არის საკამათო, ვინაიდან იკარგება პრობლემატიკის გამომდინარეობა, თანმიმდევრულობა და საჭირო ხდება ახალი ცოდნის მშენებლობა მომიჯნავე სფეროში სათანადო საფუძვლების გარეშე. აქ სწავლის დამაკმაყოფილებელი ხარისხის მიღწევა სწავლისთვის გამოყოფილი 2 წლის ფარგლებში შეიძლება ყველა მაგისტრანტისთვის ადვილად განხორციელებადი არც კი იყოს და მოითხოვოს სწავლის ხანგრძივობის გაზრდა. არის კიდევ მაგისტრატურის მესამე სახეობა, რომელიც უფრო შორდება ბაკალავრიატის სპეციალობის თემატიკას და კვალიფიკაციის ამაღლების ფორმად არის ცნობილი (weiterbildend). ეს უკვე სპეციფიკური შემთხვევაა, იგი არ არის ტიპიური და ნაკლებად არის გავრცელებული [10].

უმაღლეს განათლებაში ზემოხსენებული თანმიმდევრულობა ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენაა და ყოველთვის უნდა მიიღებოდეს მხედველობაში განათლების ხარისხისა და ეფექტიანობის ამაღლების პრობლემების განხილვისას. ამრიგად, თანამედროვე უმაღლესი განათლების წინაშე მდგარი ახალი გამოწვევების შესახებ მსჯელობებში იკვეთება განათლების ეფექტიანობის განმსაზღვრელი ისეთი ძირითადი ფაქტორები, როგორებიცაა სწავლის ხანგრძლივობა და სწავლის თანმიმდევრულობა. მათ საფუძველზე შეიძლება ვიმსჯელოთ უმაღლესი განათლების პროცესის ეფექტიანობის შესახებ შემდეგი ფუნქციონალური დამოკიდებულების ფარგლებში:

$$E = f(C, T)$$

სადაც **E** არის სწავლის ეფექტიანობა, **C** არის სწავლის თანმიმდევრულობა, ხოლო **T** არის სწავლის ხანგრძლივობა. აქ არ ფიგურირებს სწავლის ხარისხი, ვინაიდან ისიც ამ ორ ფაქტორზეა დამოკიდებული და საბოლოოდ ეფექტიანობის იდენტურ ცნებად შეიძლება განიხილებოდეს. ხსენებული დამოკიდებულების ფარგლებში ლოგიკურია ვამტკიცოთ, რომ რაც უფრო თანმიმდევრულია სწავლა-სწავლება, მით უფრო ეფექტიანია ასეთი განათლება, ხოლო რაც უფრო მეტი დრო ეთმობა სწავლა-განათლებას, მით უფრო უკეთესი შედეგებით (ანუ ეფექტებით) გვირგვინდება იგი. ამრიგად, განათლების ეფექტიანობა პირდაპირპროპორციულია სწავლის თანმიმდევრულობის და მისი ხანგრძლივობის. სწავლის მაქსიმალური ეფექტიანობა კი

ISSN 1512-1801

მიიღწევა მაქსიმალური თანმიმდევრულობის ფარგლებში სწავლის მაქსიმალური ხანგრძლივობის უზრუნველყოფით: $E_{max}=f(C_{max},T_{max})$.

განათლების ორგანიზაციის ზემოხსენებული მოდელების და მათი ეფექტიანობის განმსაზღვრელი ფაქტორების განხილვის, განზოგადების და ურთიერთშედარების საფუძველზე შეიძლება გამოვყოთ ასეთი მოდელების მნიშვნელოვანი რაოდენობა, რომელთაგან მხოლოდ მცირე რაოდენობა თუ შეიძლება იმსახურებდეს ყურადღებას როგორც ტიპიური შემთხვევები, ხოლო დანარჩენი მოდელები შეიძლება ჩაითვალოს ანგარიშგასაწევად მხოლოდ გამორჩეულ და სპეციფიკურ ვითარებებში. უმაღლესი განათლების მოდელების განხილვისა და შეფასებისთვის შეიძლება გამოიყოს შემდეგი კრიტერიუმები: 1. საგანმანათლებლო საფეხურის დიფერენცირებულობა; 2. საგანმანათლებლო საფეხურების თემატური თანმიმდევრულობა; 3. საგანმანათლებლო საფეხურების განლაგება; 4. საგანმანათლებლო საფეხურების ხანგრძლივობა; 5. საგანმანათლებლო საფეხურზე ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა. რაც შეეხება იმას, თუ უმაღლესი განათლების რა მოდელების ფარგლებში შეიძლება განახორციელონ თავისი მოქმედება ხსენებულმა ფაქტორებმა, შეიძლება გამოიყოს ძირითადად 3 მოდელი შემდეგი პირობითი დასახელებებით: **„კლასიკური მოდელი“ (2+2)+2 ან (4+2)**, რომელიც არის ყველაზე უფრო სრულყოფილი მოდელი; **„პირამიდული მოდელი“ (2+2)+1 ან (4+1),** რომელიც არის ყველაზე უფრო ეფექტიანი მოდელი; და **„შერეული მოდელი“ (2+1)+2 ან (3+2),** რომელიც არის ყველაზე უფრო პრობლემური მოდელი.

საგანმანათლებლო საფეხურის დიფერენცირებულობა. უმაღლესი განათლების პირველი საფეხური - ბაკალავრიატი, როგორც საბაზისო საფეხური, ტრადიციულად უნდა მოიცავდეს 4 წელიწადს. პირველი 2 წელი ჩვეულებრივ ეთმობა ზოგადი დისციპლინების ათვისებას 120 კრედიტის ფარგლებში. ამ დისციპლინებით იქმნება აკადემიური პროფესიის ბაზისი („მეიჯორი“). შემდეგი 120 კრედიტი მომდევნო 2 წლის მანძილზე განკუთვნილია დამატებითი სპეციალობის („მაინორის“) და არჩევითი საგნების ათვისებისთვის. ამდენად, საბაკალავრო საფეხური უნდა იყოს დიფერენცირებული და უნდა შეიცავდეს როგორც პროფესიულ 2 წლიან, ისე სპეციალობის 2 წლიან კომპონენტებს (სულ 240 კრედიტი). სტუდენტის მიერ სხვა ფაკულტეტზე „მაინორის“ არჩევაზე უარის თქმის შემთხვევაში, მას უნდა ეძლეოდეს პროფესიის ფარგლებში სპეციალობის ათვისების შესაძლებლობა, რომლითაც მიიღწევა უფრო მაღალი დონის კვალიფიკაცია განათლების მეტი თანმიმდევრულობის შედეგად. ამ შემთხვევაში იქმნება საკმარისი საფუძველი იმისთვის, რომ ბაკალავრის ხარისხი სრულყოფილი უმაღლესი განათლების კვალიფიკაციად ჩაითვალოს. როდესაც არ ხდება ბაკალავრის საფეხურზე სპეციალობის გამოკვეთა, მაშინ ვღებულობთ მხოლოდ აკადემიური პროფესიის დაუფლებისთვის 4 წლიან სწავლებას, რომელშიც მაღალია არჩეული საგნების უსისტემობის მაჩვენებელი და რომელიც შეიძლება კვალიფიკაციისთვის დიდი დანაკარგების გარეშე დაექვემდებაროს 3 წლამდე ანუ 180 კრედიტამდე შეკვეცას.

განათლების თანმიმდევრულობა. ზემოთ წარმოებული განხილვების საფუძველზე გამოყოფილი უმაღლესი განათლების ორგანიზაციის სამი ძირითადი მოდელიდან, „შერეული მოდელი“ ყველაზე ნაკლებად სანდო მოდელად უნდა შეფასდეს კვალიფიკაციის სასურველი ხარისხის მიღწევის პრობლემურობის გამო. თუმცა სპეციფიკურ და გამარტივებულ შემთხვევებში იგი ქმედით მოდელადაც შეიძლება იქნეს მიჩნეული. ყველაზე უფრო სასურველად უნდა ჩაითვალოს „პირამიდული

ISSN 1512-1801

მოდელი“, რომელიც პრობლემატიკის თანმიმდევრულობის საფუძველზე ხარისხიან სწავლაზე და სამეცნიერო მუშაობის საგულისხმო შედეგებზე გასვლის დიდ პოტენციალს შეიცავს. ხოლო ყველაზე უნივერსალურ მოდელად გვევლინება „კლასიკური მოდელი“, რომლიდანაც არის ნაწარმოები პირველი 2 მოდელი. იგი ყველაზე უფრო მისაღებია, თუმცა სწავლის მეტი ხანგრძლივობის გამო დღეისთვის მოწინავე პოზიციებს ვეღარ ინარჩუნებს ბაკალავრების უმრავლესობისთვის. უნდა ითქვას ისიც, რომ არსებობს აგრეთვე ამ მოდელის მომხრე ბაკალავრების ანგარიშგასაწევი რაოდენობა, რის გამოც იგი კვლავაც მოქმედ და სასურველ მოდელად უნდა ჩაითვალოს. გარდა ამისა, „კლასიკური მოდელი“, როგორც დანარჩენი 2 მოდელის წარმომშობი, თავისი არსებობით ქმნის ასევე მათი არსებობისთვის აუცილებელ პირობებსაც.

<u>სწავლის ხანგრძლივობა.</u> უმაღლესი განათლების მოდელები ერთმანეთისგან განსხვავდებიან სწავლის ხანგრძლივობის მიხედვით. „კლასიკური მოდელით“ სწავლის პირობებში და თემატურად თანმიმდევრული სწავლების შემთხვევაში სწავლის ტიპიური ხანგრძლივობები დიფერენცირებულ ბაკალავრიატში წლების მიხედვით ასეთია: პირველი საფეხურზე ზოგად საგნებს ეთმობა 2 წელი; იმავე პირველ საფეხურზე არჩევით საგნებს და დამატებით სპეციალობას ეთმობა შემდეგი 2 წელი; მეორე საფეხურზე (მაგისტრატურაში) სპეციალიზაციის საგნებს ეთმობა 2 წელი. არადიფერენცირებული ბაკალავრიატის შემთხვევაში გვაქვს შესაბამისად 4 წლიანი ბაკალავრიატის ერთი საფეხური და შემდეგი 2 წელი მაგისტრატურა. „პირამიდული მოდელის“ შემთხვევაში, რომელიც ყველაზე უფრო მეტად გამოირჩევა თანმიმდევრულობის და დიფრენცირებულობის მაჩვენებლების მიხედვით, გვაქვს შემდეგი სურათი: პირველი საფეხურის ზოგად საგნებს ეთმობა 2 წელი; იმავე პირველი საფეხურის სპეციალობის საგნებს და არჩევით საგნებს ეთმობა შემდეგი 2 წელი; მეორე საფეხურის (მაგისტრატურის) სპეციალიზაციის საგნებს ეთმობა 1 წელი. ეს მოდელი ყველაზე უფრო სისტემატიზებულია, მოწესრიგებულია და ამიტომ ხდის შესაძლებელს მაგისტრატურის ერთ წლამდე დაყვანას. რაც შეეხება „შერეულ მოდელს“, იგი ყველაზე უფრო ნაკლებად იმსახურებს ნდობას უპირატესად ბაკალავრიატის არასაკმარისი დიფერენცირებულობის გამო და თანმიმდევრულობის დაბალი მაჩვენებლის გამო. ბაკალავრიატის 3 წელი ვერ ქმნის ისეთ სრულყოფილ საფუძველს, რომელიც შეიძლება იქნეს კომპენსირებული მისი თემატური ველიდან ნაწილობრივ გასული 2 წლიანი მაგისტრატურის მეშვეობით.

<u>განათლების საფეხურების განლაგება.</u> უმაღლესი განათლების ორგანიზაციის ზემოაღწერილი 3 მოდელის ვიზუალიზაცია უფრო თვალსაჩინოს გახდის განვითარებულ მსჯელობებს. „კლასიკური მოდელი“ (2+2+2) ვიზუალურად მარტივად გამოისახება (იხ. ნახატი N1):



ნახ. N1

ISSN 1512-1801

აქ ბაკალავრიატის ოთხწლედი შეიძლება იყოს დიფერენცირებულიც (2+2+2) და შეიძლება იყოს არადიფერენცირებულიც (4+2). არსებითია მხოლოდ ის, რომ საფეხურები ერთმანეთს თანმიმდევრულად მიჰყვება. თემატური თანმიმდევრულობის მარეგულირებელი რაიმე მექანიზმი აქ არ ფიგურირებს. ეს მოდელი თავისი ზოგადი ბუნებით დასაბამს აძლევს დანარჩენ 2 კონკრეტულ მოდელს.

„პირამიდული მოდელის“ (2+2+1) შემთხვევაში საფეხურების თანმიმდევრულ განლაგებასთან ერთად ადგილი აქვს თემატური ველების თანმიმდევრულ შემოსაზღვრას საფეხურების მიხედვით, რაც ხელს უწყობს თემატიკის მეტი სისტემურობის, სიმყარის და სიღრმის მიღწევას. ეს მოდელი, სხვა მოდელებთან შედარებით, ყველაზე უფრო მეტი ეფექტიანობით გამოირჩევა (იხ. ნახატი N2). „პირამიდულ მოდელში“ ბაკალავრიატის საფეხური აუცილებლად უნდა იყოს დიფერენცირებული, წინააღმდეგ შემთხვევაში ირღვევა ამ მოდელის ლოგიკა - თემატური ველის დავიწროება საფეხურების მიხედვით. მხოლოდ პირამიდული მოდელის ფარგლებში შეიძლება მიეცეს განხორციელების შესაძლებლობა ცნობილ პრინციპს: რაც მეტია სპეციალიზაცია, მით მეტია წინსვლა. ეს მოდელი ყველაზე უფრო მეტად აკმაყოფილებს იმ მაგისტრანტების ინტერესებს, რომლებსაც მეცნიერული მუშაობის და დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელების განზრახვები გააჩნიათ.



ნახ. N2

„შერეული მოდელისთვის“ (3+2), რომელიც სხვადასხვა მოდელების ნაზავს წარმოადგენს, ტიპიურია მინიმალური თანმიმდევრულობა და ბაკალავრიატის სუსტი დიფერენცირებულობა. ამ მოდელით შესაძლებელია მხოლოდ საშუალო დონის კვალიფიკაციის მიღწევა. მაგრამ მის საინტერესო მხარეს წარმოადგენს ის, რომ ფართოვდება ცოდნის არეალი და კვლევის თემატიკა. არსებობს სტუდენტების ანგარიშგასაწევი რაოდენობა, რომელიც ასეთი მოდელით სწავლას ამჯობინებს. მათთვის თვალსაწიერის გაფართოება ყველაზე უფრო მაღალი პრიორიტეტულობით სარგებლობს (იხ. ნახატი N3). ამ მოდელის მთავარ პრინციპს წარმოადგენს: სწავლა შეზღუდვების გარეშე. მისთვის არ არის დამახასიათებელი სამომავლო გეგმების საფუძველზე მიმდინარე სამუშაოების რეგლამენტირება. ამ მოდელით მოსწავლე სტუდენტების მთავარი ინტერესი არის ცოდნის გაფართოებასთან ერთად მხოლოდ მაგისტრის კვალიფიკაციის მოპოვება.

ISSN 1512-1801



ნახ. N3

<u>ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა.</u> ასათვისებელი კრედიტების რაოდენობის მიხედვით, „კლასიკური მოდელი“ ყველაზე უფრო მოცულობითია. აქ ყოველ საფეხურზე და ქვესაფეხურზე გამოყოფილია 120 კრედითი. ბაკალავრიატის 2 ქვესაფეხური ერთად ქმნის 120 + 120 = 240 კრედიტს, ხოლო მაგისტრატურის 120 კრედიტის დამატების შემდეგ, მთელი ორსაფეხურიანი უმაღლესი განათლებისთვის ვღებულობთ **360 კრედიტს**. „პირამიდული მოდელის“ შემთხვევაში ბაკალავრიატის 2 ქვესაფეხური ერთად იძლევა 240 კრედიტს, ხოლო 1 წლიანი მაგისტრატურის 60 კრედიტის დამატების შემდეგ ვღებულობთ **300 კრედიტს** მთელი ორსაფეხურიანი უმაღლესი განათლებისთვის. „შერეული მოდელის“ შემთხვევაში 3 წლიანი ბაკალავრიატის 180 კრედიტს ემატება 2 წლიანი მაგისტრატურის 120 კრედიტი და მთელი ორსაფეხურიანი უმაღლესი განათლებისთვის მიიღება **300 კრედიტი.** ამრიგად, განხილულ მოდელებს შორის რესურსტევადობის და სიძვირის მაჩვენებლების მიხედვით ყველაზე უფრო დაწინაურებულია „კლასიკური მოდელი“ (360 კრედიტი). ხოლო დანარჩენი 2 მოდელი, 300 კრედიტის რესურსით და ნაკლები ფინანსური დანახარჯებით, სტუდენტებისთვის მეტი მიმზიდველობით გამოირჩევა. ამ ორ მოდელს შორის „პირამიდული მოდელი“ უნდა ჩაითვალოს გაცილებით უფრო პრიორიტეტულად მაღალი კვალიფიკაციისა და ცოდნის სისტემურობის გამო; ასევე სამეცნიერო მოღვაწეობის განვითარებისთვის აუცილებელი საფუძვლების შექმნის გამო. მაგრამ სტუდენტებმა მაინც თვითონ უნდა განსაზღვრონ ის, თუ რომელი მოდელით სწავლა არის მათთვის ყველაზე უფრო მისაღები, ყველაზე მეტად რომელი პასუხობს მათ ინტერესებს და ამისთვის რა ფინანსური დანახარჯების გაღებისთვის არიან ისინი მზად.

უმაღლესი განათლების სისტემის შესახებ ზემოთ მოყვანილი მსჯელობებიდან გამომდინარე და განათლების ორგანიზაციული მოდელების დადებითი და უარყოფითი მხარეების გაანალიზებიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ყველაზე უფრო ადეკვატურ და უდანაკარგო მიდგომას წარმოადგენს უმაღლესი განათლების სამივე განხილული მოდელის ერთდროული ფუნქციონირება, რომელთაგან სტუდენტების მიერ ერთ-ერთი სასურველი მოდელის არჩევა ტექნიკურად უპრობლემოდ არის შესაძლებელი არჩევითობის არსებული მექანიზმის მოქმედების ფარგლებში. ასეთი „კონცეფციის“ წარმატებული გამოყენების წინაპირობას წარმოადგენს „კლასიკური მოდელის“ **(4+2)** შენარჩუნება და მის ფარგლებში „პირამიდული“ **(4+1)** და „შერეული“ **(3+2)** მოდელების არჩევისთვის შემუშავებული მექანიზმების ამოქმედება.

ISSN 1512-1801

ზემოთ განხილული მოდელებიდან სასურველი მოდელის არჩევის ხელშესაწყობად აუცილებელია გამოიკვეთოს და მოკლედ ჩამოყალიბდეს მათი შემდეგი არსებითი თავისებურებანი:

ა/ „კლასიკური მოდელის“ მთავარ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ მასში შექმნლია მეცნიერების კონკრეტული დარგის მაქსიმალური ათვისების ხელშემწყობი პირობები.

ბ/ „პირამიდული მოდელის“ არსებით თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ ცოდნის მეტი სისტემურობის საფუძველზე მასში იქმნება მეცნიერული კვლევების წარმოების ხელშემწყობი პირობები და მეცნიერული კარიერით დაინტერესებულ პირთათვის არის ყველაზე უფრო ადეკვატური.

გ/ „შერეული მოდელის“ გამორჩეულ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ მასში შექმნილია მომიჯნავე დარგების ათვისების შესაძლებლობები და მინიმიზირებულია სხვა მოდელებისთვის დამახასიათბელი შეზღუდვები. გასაცნობიერებელია ის, რომ ეს მოდელი გამოირჩევა შედარებით უფრო დაბალი დონის კვალიფიკაციის უზრუნველყოფით.

ჩვენს სინამდვილეში არსებობს იმის მწვავე საჭიროება, რომ წარმოებდეს უმაღლესი განათლების ორგანიზაციული მოდელების და მათი მაფორმირებელი ფაქტორების დეტალური განხილვები, ვინაიდან სწორედ მათზეა დამოკიდებული უმაღლესი განათლების ეფექტიანობა. განათლების ეს მოდელები თანაბრად უნდა იყოს მოქცეული როგორც პროფესორების, ისე სტუდენტების ყურადღების ცენტრში. სტუდენტებს უნდა შეექმნათ მაქსიმალურად კომფორტული პირობები უმაღლესი განათლების მათთვის სასურველი მოდელის შერჩევის საქმეში. ეს ადვილად არის შესაძლებელი არჩევითობის მექანიზმის გამოყენებით, რომელიც შემოღებულია სტუდენტების ინდივიდუალური მოთხოვნების დაკმაყოფილებისთვის. ყოველთვის მოიძებნება არჩევითობის მექანიზმს დაუფლებული სტუდენტების საკმარისი რაოდენობა იმისთვის, რომ სამივე ხსენებული ორგანიზაციული მოდელის ფარგლებში სწავლა მიმდინარეობდეს ჩვენი უმაღლესი განათლებისთვის დამახასიათებელი ჩვეული ინტენსივობით, რაც ხელს შეუწყობს ასეთი განათლებით კმაყოფილი კადრების მომრავლებას და შექმნის მათი ადეკვატური დასაქმების უკეთეს პირობებს.

ISSN 1512-1801

ლიტერატურა

1. უმაღლესი განათლების და მეცნიერების სტრატეგიული განვითარება საქართველში. განათლების პოლიტიკის, დაგეგმვის და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი. თბილისი, 2013.
2. Modernisation of Higher Education. Report to the European Commission on Improving the quality of teaching and learning in Europe's higher education institutions. June 2013.
3. Высшее образование в Европе. Selfmadetrip (https://selfmadetrip.com/vyisshee-obrazovanie-v-evrope/).
4. Образование в Европе. academconsult (http://academconsult.ru/obrazovanie-v-evrope).
5. Study in Europe. http://edwiseinternational.com/study-abroad-resources/Study-in-UK-Articles-Resources/study-in-europe-october-2015.asp
6. International Trends in Higher Education. Oxford University, International Strategy Office, 2015.
7. Эш Митчелл. Бакалавр чего, магистр кого? «Гумбольдтовский миф» и исторические трансформации высшего образования в немецкоязычной Европе и США. Новое литературное обозрение № 122 (4/2013), с. 1-38., (PDF).
8. Eckel Peter D. and King Jacqueline E. An Overview of Higher Education in the United States. In: The international Handbook of Higher Education, published by Springer.Washington, DC 20036, p. 1-25, (http://www.springeronline.com) (PDF).
9. გოროშიძე გიორგი. საბაკალავრო პროგრამების ეფექტიანობის ამაღლების პერსპექტივები. ქართული ელექტრონული რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი „ქესჟ"/ განათლების მეცნიერებანი და ფსიქოლოგია. 2017, N3(45), გვ. 128-142. (http://gesj.internet-academy.org.ge/ge/list_artic_ge.php?b_sec=edu&issue=2017-09).
10. Магистратура в германии. UniPage (https://www.unipage.net/ru/master_degree_in_germany).

Article received: 2018-06-18